

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინგლისურ ენაზე საუბრის გაკვეთილების ჩაწერის საშუალებით რეფლექსიური
სწავლების გავლენა ენის სწავლებასა და შეთვისებაზე

(თურქეთის უნივერსიტეტის მოსამზადებელი განყოფილების სტუდენტები)

ბეთულ აიშე საინი

ავტორეფერატი

წარდგენილია

განათლების მეცნიერებების დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

2013

ხელმძღვანელი პროფესორი, დოქტორი ნათელა დოდონაძე

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები:

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ეკატერინე ფიფია

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ირმა მესერიძე

ოპონენტები:

პროფესორი, დოქტორი რუსუდან გოცირიძე

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ნანა ბლუაშვილი

შესავალი

საუბრის უნარ-ჩვევები ძირითად უნარ-ჩვევებად მიიჩნევა ახალი ენის შესწავლისას. ეს არის ზოგადი მოლოდინი ყველა ენის შემსწავლელისთვის. მათი სურვილია, სწორად გამოიყენონ ყველა ის ენობრივი მარაგი და გრამატიკული წესები, რომელიც უსწავლიათ, რათა ისაუბრონ ახალ ენაზე. ინგლისური ენის შემსწავლელებსაც იგივე მოლოდინი აქვთ. მათ სურთ, რომ ეფექტიურად ისაუბრონ ინგლისურად. თუმცა, უცხოური ენის სწავლა და სწავლება არ არის ისე მარტივი, როგორც სტუდენტებსა და მასწავლებლებს წარმოუდგენიათ. ის საჭიროებს დიდ ძალისხმევას, ორმხრივ სურვილსა და ხელისშეწყობას როგორც მასწავლებლების, ისე სტუდენტების მხრიდან.

ტენდენცია იმისა, რომ საუბარში დახელოვნება გახდეს პრიორიტეტი, თვით საზოგადოების ტენდენციაშია გამოსახული. საზოგადოებას მიაჩნია, რომ საუბრის უნარ-ჩვევები ინგლისური ენის დაუფლების საზომია. საუბარს უპირველესი მნიშვნელობა აქვს (არ საუბრობდე ენაზე დღეს ნიშნავს არ გქონდეს კომუნიკაციური უნარ-ჩვევა). საუბრის უნარ-ჩვევები არის საფუძველი კითხვის და წერის უნარ-ჩვევებისთვის.

ფაქტიურად, სტუდენტებს უცხოურ ენაზე თავისუფლად საუბარი მიაჩნიათ უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე წერა და კითხვა (Nazara, 2011). საუბარი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და რთულ უნარ-ჩვევად ითვლება თურქ სტუდენტებს შორის. ის ენის შეთვისებაში სტუდენტთა დახელოვნებას ასახავს. ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლების პროგრამაში საუბრის უნარ-ჩვევების როლი ძალიან დიდია. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მოძიებულ იქნას სწავლების საუკეთესო მეთოდები, მასალა, აქტივობები, გარემო და სხვა საშუალებები, რითიც

დავეხმარებით ენის შემსწავლელს, გაუმჯობესონ საუბრის უნარ-ჩვევები (Nazara, 2011).

საუბრის უნარ-ჩვევების განვითარების წარმატება დიდადაა დამოკიდებული მასწავლებელზე. ამდენად, ჩვენი კვლევის მიზანი გაკვეთილების ვიდეო ჩანაწერების გამოყენებაა, რათა გაუმჯობესდეს მასწავლებლის აქტივობა საუბრის უნარ-ჩვევების განმავითარებელ გაკვეთილებზე.

რეფლექსიური სწავლება არის თანამედროვე და კარგად აპრობირებული მეთოდი, რომლის დროსაც მასწავლებლები იყენებენ თვითშემეცნებას პროფესიული განვითარებისათვის. რეფლექსიური სწავლების ნაწილად გვევლინება „რეფლექსიური პრაქტიკა“, რომელიც მიმართულია იმ საფეხურების გავლისკენ, რაც აუცილებელია თვითგანვითარებისთვის და რომელიც მოიცავს აქტიურ ფაზას. ტერმინი „რეფლექსიური პრაქტიკა“ შემოიტანა შონმა (Schon, 1987) და ის ფოკუსირდება იმ გზებზე, როდესაც ადამიანი ფიქრობს საკუთარ გამოცდილებაზე და ეს ნაფიქრი ფორმულირდება მის პასუხებში. ეს მიდგომა ნათელ განსხვავებას იძლევა „ქცევაზე ფიქრსა“ და „ქცევის დროს ფიქრს“ შორის. ქცევაზე ფიქრი არის გამოცდილების ანალიზი, მაშინ, როცა ქცევის დროს ფიქრი განსაზღვრავს, თუ როგორ იქნება პასუხები ფორმულირებული (Krause, 2004 ციტირებული Clarke-ში, 2007, გვ 2).

გაკვეთილების ვიდეოჩანაწერები ეხმარება მასწავლებლებს რეფლექსიური სწავლებისას, როგორც რეფლექსიური სწავლების ერთ-ერთი ხერხი, საკუთარ თავზე დაკვირვების წერილობით ანგარიშთან და სხვა მასწავლებლის დაკვირვებასთან ერთად. გაკვეთილების ვიდეოჩანაწერები თანდათანობით ხდება დაკვირვების ნაყოფიერი პროცესი, განსაკუთრებით იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც მუშაობენ ინგლისურის როგორც უცხო ენის შემსწავლელ სტუდენტებთან. ჯერ ერთი, ვიდეოჩანაწერის ნახვისას მასწავლებელი საკუთარ თავს გარე თვალთ უყურებს სწავლებისა და სწავლის პროცესის დროს საკლასო ოთახში. მასწავლებელს ეძლევა საშუალება, კრიტიკულად დააკვირდეს და გამოსცადოს სწავლების მეთოდები,

სტუდენტთა ქცევა და საკლასო მენეჯმენტი. ამას გარდა, ეს არის მარტივი მეთოდი, შეინახო ჩანაწერები საკუთარ თავზე და შემდგომ გამოიყენო სასწავლო აქტივობების შედეგებისას. გაკვეთილების ვიდეოჩანაწერების გამოყენება საკუთარი თავისა და სხვების ობიექტური შეფასების საშუალებას იძლევა. თვითონ მასწავლებლებსაც და სხვებსაც (კოლეგებს, მშობლებს, სკოლის ადმინისტრაციას) შეუძლია თვითონ ნახონ ჩანაწერები იმის მაგივრად, რომ გამოიყენონ თვითშეფასების ანგარიში ან სხვა მასწავლებლის მიერ დაკვირვება.

ინგლისურის როგორც უცხო ენის მასწავლებლები გაკვეთილების ვიდეოჩანაწერებს სხვადასხვა საგანმანათლებლო მიზნებისთვის სხვადასხვა ტიპის გაკვეთილებისთვის იყენებენ, ჩვენს კვლევაში კი გაკვეთილების ვიდეოჩანაწერები გამოიყენება თურქული უნივერსიტეტების მოსამზადებელი განყოფილების სტუდენტების ინგლისურ სასაუბრო მეცადინეობებზე დაკვირვებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ რეფლექსიური სწავლება მხოლოდ ბოლო რამოდენიმე ათწლეულია რაც გამოიყენება, ის მაინც იქცა წარმატებულ მეთოდად მასწავლებელთა ინდივიდუალური პრაქტიკისთვის. ოსტერმენი (Osterman, 1990, გვ.134) წერს, რომ რეფლექსია არის „ვისიმე ქცევის, კონკრეტულად ვისიმე პროფესიული ქმედების, გონივრული გათვალისწინება“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის თვითდაკვირვებისა და თვითშეფასების რეალიზება, რომელსაც მასწავლებელი მიჰყავს თვითკრიტიკამდე. რეფლექსიური სწავლება არის გონივრული ფიქრისა და სწავლების განხორციელების პროცესის ერთობლიობა. მისი გამოყენებით მასწავლებელი მიზნად ისახავს, მიაღწიოს პროფესიულ განვითარებას და გამოამყვანოს ეს უნარი აუდიტორიაში.

გაკვეთილების ვიდეოჩანაწერის გაკეთება არის რეფლექსიური სწავლების იმ მეთოდებსა და მიდგომებს შორის, რომელიც გამოიყენება „რეფლექსიური პრაქტიკის სტიმულირებისას“ (Wright, 2008, გვ. VI). ვიდეოჩანაწერები მიზნად ისახავს, გავიაზროთ და გავაუმჯობესოთ სწავლების მეთოდები. ვიდეოჩანაწერების

გამოყენება მიზნად ისახავს ასევე მოტივირებულები გახადოს მასწავლებლები, რათა გაიუმჯობესონ უნარები და შეაფასონ საკუთარი მუშაობა აუდიტორიაში.

კვლევა ფოკუსირებულია მასწავლებლის განვითარებაზე და მის როლზე საუბრის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. ამ მხრივ, დისერტაცია აშუქებს ვიდეოჩანაწერების დადებით გავლენას ენის სწავლებისა და შეთვისების ხარიხზე.

როგორც დაკვირვებითი და ამავე დროს ექსპერიმენტული კვლევა, დისერტაცია ჩატარებულია თურქული უნივერსიტეტის მოსამზადებელ განყოფილებაში და განიხილავს ინგლისური ენის (საუბრის)სამი თურქი-მასწავლებლისა და 66 სტუდენტის შემთხვევას. დისერტაციის პირველ თავში განხილულია საუბრის უნარ-ჩვევების თეორიული ჩარჩო, რეფლექსიური სწავლება და ვიდეოს ჩაწერის მეთოდები. მეორე თავში განხილულია ვიდეოჩანაწერების პრაქტიკული გამოყენება. მესამე თავი წარმოადგენს დაკვირვების, ექსპერიმენტის, მისი შედეგების ანალიზის დეტალებს. დისერტაციაში გამოყენებული კვლევის მეთოდებია ვიდეოდაკვირვების კომენტარები, მასწავლებლების გამოკითხვა, მასწავლებლისა და სტუდენტების კითხვარები, სტუდენტთა ზეპირი გამოცდის შედეგების ანალიზი.

ამ კვლევით მსურს, დავამტკიცო ინგლისური ენის გაკვეთილების ვიდეოჩანაწერების ანალიზის გამოყენების პრაქტიკულობა, წარმატება და მათი დადებითი გავლენა ინგლისურის როგორც უცხო ენის სასაუბრო გაკვეთილების დროს ენის შეთვისების პროცესზე. კვლევის მონაპოვარია ის, რომ ვიდეოჩანაწერები არის სასარგებლო, დროის მხრივ ეკონომიური, ძალზედ მოტივირებული საშუალება ინგლისური ენის თურქი მასწავლებლებისთვის და არა მარტო მათთვის, არამედ მსოფლიო მასშტაბით ყველა დაინტერესებული პირისთვის; ვიდეოჩანაწერების გამოყენება ეხმარება მასწავლებელს თვითშეფასებაში და უკეთ ქმედებაში.

საკვლევი პრობლემა

გაკვეთილების ვიდეოგადაღება არ არის თვითშეფასების გავრცელებული საშუალება მასწავლებლებისთვის თურქეთში. ვიდეოჩანაწერებს როგორც რეფლექსიური სწავლების ნაწილს სჭირდება გავრცელება მასწავლებლებს შორის როგორც თურქეთში, ისე სხვა ქვეყნებში.

საუბრის სწავლება მოითხოვს მასწავლებლის მხრიდან უდიდეს ენერჯიასა და დროს. მასწავლებელმა სტუდენტთა მოტივაცია უნდა გაზარდოს, უნდა შეასწავლოს მათ საჭირო სინტაქსური სტრუქტურები და სიტყვათა მარაგი, შემდეგ უნდა გაუღვიძოს სურვილი, რათა ჩაერთან მარტივ კომუნიკაციაში მაინც. ყველა სტუდენტს რომ თანაბარი დრო დაუთმოს და შემდეგ საუბარში ჩართოს, ეს ძალიან რთული პროცესია. ვიდეოჩანაწერი, რომელსაც თან სდევს თვითდაკვირვება და რეფლექსია, განიხილება როგორც „სარკე“, რომლის დახმარებითაც მასწავლებელი გააკონტროლებს სასაუბრო გაკვეთილებს და უკეთ დაინახავს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს.

როგორც ჩემი სწავლების პრაქტიკის, ისე ექსპერიმენტის მსვლელობის დროს შემემძლო დაკვირვებოდი თურქი სტუდენტების სირთულეებს სასაუბრო გაკვეთილებზე. იმ დროს, როცა ზოგიერთი მათგანი ძლიერია გრამატიკაში, სხვები კი ფლობენ საკმაო სიტყვათა მარაგს, უმეტესობა თავიდან იცილებს საუბარს გაკვეთილზე. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ სტუდენტები ძალიან ნერვიულობენ, არ დაუშვან შეცდომები.

ამ კვლევაში თურქ სტუდენტთა ინგლისურად საუბრის უნარ-ჩვევების ხარისხი წარმოვაჩინე როგორც სერიოზული პრობლემა. მე აგრეთვე დავინახე როგორც ინგლისური ენის სწავლების სერიოზული პრობლემა მასწავლებლის თვითდაკვირვებისა და თვითკრიტიკის ნაკლებობა, რომელიც რომ ყოფილიყო გამოყენებული გაკვეთილში, აუცილებლად გადაჭრიდა ზემოთ აღნიშნულ პრობლემას.

რადგან მასწავლებლებისთვისაც და მოსწავლეებისთვისაც საუბრის უნარ-ჩვევები მიიჩნევა როგორც ძირითადი ენობრივი უნარები, აუცილებელია მათზე

გაკეთდეს აქცენტი ინგლისურის როგორც უცხო ენის გაკვეთილებზე. თუმცა, გამოცდილება აჩვენებს, რომ თურქი სტუდენტები განიცდიან საუბრის კარგი უნარ-ჩვევების ნაკლებობას და ამის შედეგად შესაბამისია საკომუნიკაციო კომპეტენციის მხრივ უცხო ენაში. მიუხედავად იმისა, რომ გრამატიკის სწავლება და სიტყვათა მარაგის შევსება სკოლებში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, სტუდენტები მაინც ვერ იყენებენ პროდუქტულ უნარებს საჭირო დონეზე. თურქი მოსწავლეების საუბრის უნარ-ჩვევებში პრობლემა გამოწვეულია მათი საკომუნიკაციო უნარების დეფიციტითა და საუბრის სურვილის არქონით, ან მასწავლებლის არასაკმარისი მცდელობით, მისი მიდგომებისა და სწავლების მეთოდების უსუსურობით.

ვიდეოჩანაწერის გაკეთების აუცილებლობა მასწავლებელთა თვითშეფასებისთან ერთად თურქი სტუდენტებისთვის იმის მიზეზია, რომ ამ კვლევაში ფოკუსირება მოხდება ვიდეოჩანაწერების გამოყენებაზე საუბრის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით.

მასწავლებლის თვითშეფასების დეფიციტის გამო ვიდეოს ჩაწერის დროს სასაუბრო გაკვეთილებზე, კვლევა ორიენტირებული ხდება მასწავლებლის ქცევაზე და სწავლების მეთოდებზე, ისევე როგორც სტუდენტთა ქცევაზე.

საკვლევი პრობლემა, რომელიც განისაზღვრა და შესწავლილ იქნა დისერტაციაში, შემდეგია:

არის თუ არა ინგლისურის როგორც უცხო ენის სასაუბრო გაკვეთილებზე ვიდეოს ჩაწერა ეფექტური მასწავლებლის საზრიანობისთვის და სწავლება/სწავლის მეთოდების გაუმჯობესებითვის?

ამის გამო, კვლევა მიზნად ისახავს, გამოარკვიოს ვიდეოჩანაწერების გავლენა მასწავლებლის საზრიანობაზე სასაუბრო გაკვეთილებზე თურქულ რეალობაში.

საკვლევი საკითხები, რომელზეც კვლევას პასუხი უნდა გაეცა, არის შემდეგი:

- 1- ვიდეოს ჩაწერა უფრო ეხმარება თუ არა მასწავლებლის თვითშეფასებაში, ვიდრე თვითშეფასების სხვა მეთოდები ინგლისურის როგორც უცხო ენის სასაუბრო გაკვეთილებზე?
- 2- ზრდის თუ არა მასწავლებლის თვითდაკვირვება ვიდეოჩანაწერების გამოყენებით სტუდენტთა საუბრის უნარ-ჩვევების დონეს და ენის შეთვისების უნარს?
- 3- ეხმარება თუ არა ინგლისურის როგორც უცხოური ენის სტუდენტებს სასაუბრო გაკვეთილებზე ვიდეოჩანაწერების გამოყენება, გაუმჯობესონ თავიანთი საუბრის უნარ-ჩვევები და ენის შეთვისების უნარი?

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია, მოძიებულ იქნას გზები, რათა გაუმჯობესდეს სწავლების მეთოდები სასაუბრო გაკვეთილებზე და ირიბად გაუმჯობესდეს სტუდენტთა საუბრის უნარ-ჩვევები და ენის შეთვისების უნარიც. ლიტერატურის ანალიზზე, სასწავლო პროცესის დაკვირვებასა და ექსპერიმენტზე დაყრდნობით გამიზნულია, რომ მიღწეულ იქნას დასმული მიზნები. ამ პროცესში გამოკვეთილია ვიდეოჩანაწერების ეფექტურობის დადგენა ენის სწავლებისა და შეთვისების პროცესში.

კვლევის ჰიპოთეზა:

კვლევის ჰიპოთეზა შემდეგია: ვიდეოჩანაწერის გამოყენება დადებით გავლენას ახდენს მასწავლებლის რეფლექსიაზე ინგლისურის როგორც უცხო ენის სასაუბრო გაკვეთილებზე, რის შედეგადაც ენის სწავლებისა და საუბრის უნარ-ჩვევების დონე იზრდება.

სასწავლო პროცესი აღნიშნული მიზნისა და ჰიპოთეზის გარშემო ტრიალებს მთელი დისერტაციის მანძილზე, პირველი თავიდან დაწყებული ექსპერიმენტის შედეგების ანალიზისა და დასკვნებით დასრულებული. ბოლო, დაკვირვებისა და ექსპერიმენტის აღმწერი თავის განმავლობაში მასწავლებლისგან მოსალოდნელია, რომ აამაღლოს სწავლების ხარისხი შემდეგ ასპექტებში:

- პრეზენტაცია, პრაქტიკა, წარდგენის მეთოდი (PPP) და საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა;
- მასწავლებლის სასაუბრო დროის სიხშირე;
- მასწავლებლის მიერ შესასწავლი ენის გამოყენების სიხშირე;
- სტუდენტთა მოტივირება საუბრის მიმართ.

საუბრის უნარ-ჩვევების განვითარება ეხება შემდეგ ასპექტებს:

- საუბრის დროს ფსიქოლოგიური დამაბვისგან განთავისუფლებას;
- ინგლისურად საუბრის მოტივაციას;
- სტუდენტთა მონაწილეობის სიხშირეს სასაუბრო გაკვეთილებზე;
- სტუდენტების მიერ შესასწავლი უცხოენოებრივი მასალის გამოყენების სიხშირის შედარებას მშობლიური ენის გამოყენებასთან;
- მეცადინეობაზე ნასწავლი სიტყვათა მარაგისა და გრამატიკის გამოყენებას;
- საკომუნიკაციო კომპეტენციის განვითარებას და სპონტანურად აზრის გამოხატვის უნარს.

კვლევის აქტუალობა

დამტკიცებულია, რომ ვიდეოჩანაწერების გამოყენება ეფექტური საშუალებაა ინგლისური ენის სწავლებაში როგორც მცირეწლოვან, ისე ენის მოზრდილ შემწავლელებთან. ვიდეო შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა გარემოცვაში - საკლასო ოთხებში, დისტანციური სწავლების საიტებზე, სადაც ინფორმაცია გადმოიცემა შემსწავლელებითვის, ამ დროს ენის შემსწავლელები ინტერაქციაში არიან ინსტრუქტორებთან კომპიუტერის საშუალებით, თვით სწავლის და შეფასების დროს. ის ასევე შესაძლოა გამოყენებულ იყოს მასწავლებლის პირადი და პროფესიული განვითარების მიზნით ან სტუდენტებისთვის სასწავლო მასალის თვალსაჩინო პრეზენტაციისთვის, საუბრის სტიმულირებისთვის და სხვადასხვა ცნების ილუსტრირებისთვის. მასწავლებლებსა და სტუდენტებს ყოველთვის

შეუძლიათ შექმნან საკუთარი ვიდეოჩანაწერი როგორც სასწავლო მასალა ან როგორც ენის შემსწავლელთა ქცევის შეფასების საშუალება (Rammal, 2005).

რეფლექსიური პრაქტიკა და გაკვეთილების ვიდეოჩანაწერები წინა პლანზე წამოვიდა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში და უფრო ხშირად გამოიყენება ინგლისურის როგორც უცხოური ენის გაკვეთილებზე მსოფლიო მასშტაბით. მიუხედავად ამისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თურქ სტუდენტებს ინგლისურად საუბრის ნაკლები გამოცდილება და უნარ-ჩვევები გააჩნიათ, ამიტომ აუცილებელია, რომ ინგლისური ენის თურქ-მასწავლებლებმა გადააფასონ თავიანთი სწავლების მეთოდები, ისევე როგორც სტუდენტებმა მიმართონ ძალისხმევას თავიანთი განვითარებისთვის.

წინამდებარე კვლევა ამტკიცებს, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია სწავლების უნარებისა და მეთოდების გაუმჯობესება საუბრის გაკვეთილებზე თურქულ სკოლებში. უმეტესი თურქი-სტუდენტი ფლობს საკმარის გრამატიკულ უნარ-ჩვევებსა და სიტყვათა მარაგს, რათა წარმოთქვას რამოდენიმე სიტყვა ან წინადადება კომუნიკაციური მიზნებისათვის. ბევრი თურქი-სტუდენტი ინგლისურ ენას სწავლობს წლების განმავლობაში, რომ მიაღწიოს ენის ცონდის საშუალოს-წინა ან საშუალო დონეს. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლების მიერ ფართოდაა აღიარებული, რომ თურქი-სტუდენტები იღებენ ინგლისური ენის საკმარის ცოდნას წლების განმავლობაში, უმეტესი მათგანი მაინც განიცდის პრობლემას უცხოურ ენაზე საუბრისას.

თურქი სტუდენტების საუბრის დეფიციტი რამოდენიმე მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. შესაძლოა სტუდენტების მხრიდან იყოს გრამატიკისა და სიტყვათა მარაგის ცოდნის სიმწირე, სიტყვების არასწორად წარმოთქმა, საკომუნიკაციო სტრატეგიების არქონა, ისეთი ფსიქოლოგიური პრობლემის არსებობა, როგორცაა მოტივაციის ნაკლებობა, მორცხვობა ან შფოთვა, ხოლო მასწავლებლების მხრიდან ეს დეფიციტი გამოწვეულია სწავლების მეთოდების, უნარების და დამოკიდებულების ფაქტორით. არსებობს კიდევ სხვა ფაქტორები,

როგორცაა, მაგალითად, ისეთი სასაუბრო აქტივობები, რომელიც შეთავაზებულია სახელმძღვანელოებში, რომელიც მოტივაციას უკარგავს სტუდენტებს.

რასაც თურქი-მშობლები და სტუდენტები ჩვეულებისამებრ ამბობენ და უჩივიან, არის ის, რომ სტუდენტებს არ აქვთ საკმარისი სასაუბრო პრაქტიკის საშუალება, რადგან სწავლება ორიენტირებულია გამოცდებზე, რომლებიც სასაუბრო დავალებებს არ მოიცავს. ამ ყველაფერს მივყავართ იმ იდეისკენ, რომ ინგლისური ენის თურქი-მასწავლებლები პასუხისმგებლები არიან ინგლისურად საუბრის უნარების დეფიციტის პრობლემაზე თურქეთში.

მე არ ვგულისხმობ, რომ მხოლოდ თურქ-სტუდენტებს აქვთ ინგლისურ ენაზე თავისუფლად საუბრის სირთულე, მაგრამ მე მინდა ხაზი გავუსვა, რომ ინგლისური ენის სწავლების პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა თურქეთში.

იმ მიზნით, რომ გამომეკვლია, ინგლისური ენის თურქი-მასწავლებლები რეალურად იყენებენ თუ არა საუბრის სწავლების ადეკვატურ მეთოდებს კლასში და აცნობიერებენ თუ არა თურქი-სტუდენტები ინგლისურად საუბრის დროს წარმოშობილ პრობლემებს, კვლევა ჩატარდა თურქ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან. გამოყენებულ იქნა ვიდეოს ჩაწერა როგორც რეფლექსიური სწავლების მეთოდი, რათა გვეცადა გადაგვეჭრა სტუდენტების დიდი ნაწილის საუბრის უუნარობის პრობლემა, რომელიც არსებობს აუდიტორიებში. აღნიშნული მეთოდი, ჩემი აზრით, არასაკმარისად გამოიყენება თურქი-პედაგოგების მიერ.

მე მჯერა, რომ გაკვეთილის ვიდეოჩანაწერების გამოყენება დაეხმარება მასწავლებლებს, განახორციელონ ეფექტური თვითშეფასება სასაუბრო გაკვეთილებზე. ამას გარდა, ვიდეოჩანაწერების გამოყენება დაგვეხმარება გამოვარკვიოთ, ახდენს თუ არა დადებით გავლენას მასწავლებლის გაუმჯობესებული ქცევა სტუდენტთა სწავლის გაუმჯობესებაზე.

კვლევის სიახლე

ბევრ მკვლევარს ჩაუტარებია კვლევა, რათა დაედგინა ვიდეოჩანაწერების სარგებლიანობა ენის სწავლებაში (Fell, 2008; Bagarukayo et al., 2011; Yoo et al, 2010).

უმეტესი მათგანი იკვლევს სტუდენტთა ქცევას, მათი ცხოვრების სტილს და გარემოს. ზოგიერთი ეს კვლევა ფოკუსირებულია ენის განმოყენების კომუნიკაციის ფუნქციაზე და სტუდენტების საუბრის უნარ-ჩვევებზე (Krohn, et al., 2010, Yoo et al, 2010). ყველაფერი ამის გათვალისწინებით სწავლების მეთოდების ეფექტურობა, სწავლების სტილი, სხვა მასწავლებლების თვითშეფასება, მასწავლებლის თვითდაკვირვება და განსაკუთრებით საუბრის შეფასება არ არის მხდველობაში მიღებული.

ასევე, არსებობს ბევრი კვლევა (Murad, 2009), რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა მოთხოვნილებებს და საუბრის უნარ-ჩვევების განვითარებაში წარმოშობილ პრობლემებს. ეს კვლევები გვეხმარება საუბრის შეფასების გზების მოძიებაში, მაგრამ ცოტაა ისეთი კვლევა, რომელიც საუბრის გაკვეთილებზე მასწავლებლის ფუნქციაზე, სწავლების გზებზე, მეთოდებზე და დამოკიდებულებებზეა ფოკუსირებული.

კვლევის სიახლეში წვლილი შეაქვს იმ ფაქტს, რომ კვლევა ყურადღებას ამახვილებს მასწავლებლის თვითდაკვირვებაზე გაკვეთილების ვიდეოჩანაწერების საშუალებით, რომლებიც გამოიყენება როგორც რეფლექსიისა და მასწავლებლისა და სტუდენტების აშკარა ქცევასა და მათ უხილავ ფსიქოლოგიურ პრობლემებზე დაკვირვების ინტრუმენტი. კვლევის თურქულ კონტექსტში ჩატარება (უნივერსიტეტის მოსამზადებელი განყოფილებისთვის) კვლევის კიდევ ერთ ინოვაციურ ასპექტს წარმოადგენს.

კვლევისთვის ავირჩიე ინგლისური ენის სასაუბრო გაკვეთილების ვიდეოგადაღება როგორც თვითდაკვირვების ყველაზე ეფექტური მეთოდი საუბრის სწავლებისას, რადგან საუბრის პროცესი, ისევე როგორც საუბრის „პროდუქტი“ თუ რამენაირად არ ჩაიწერა, ვერც შესწავლის საგანი გახდება (კითხვასა და წერაში ჩვენ გვაქვს წერილობითი ტექსტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს დამატებითი ხერხის გარეშე მოხდეს კვლევის განხორციელება). იმისათვის, რომ ენის სხვა უნარ-ჩვევები განვითარდეს, თვითშეფასების სხვა მეთოდებიც შესაძლოა იყოს ეფექტური, რაც შეეხება საუბრის სწავლების ანალიზს, ვიდეოს ჩაწერა განსაკუთრებით

ხელსაყრელია. მე ვერ ვიპოვე სხვა კვლევა, რომელიც რეფლექსიის ამ ასპექტებს იკვლევს.

კვლევის მეთოდები

იმისათვის, რომ ზემოთ განხილული პრობლემები გადამეჭრა, მივმართე კვლევის შემდეგ მეთოდებს:

- შესასწავლი პრობლემის გარშემო არსებული ლიტერატურის განხილვა და კრიტიკული ანალიზი
- საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვება ვიდეოჩანაწერების გამოყენებით
- მასწავლებლების და სტუდენტების გამოკითხვა (კითხვარები)
- ექსპერიმენტი
- სტუდენტთა საუბრის უნარ-ჩვევების შეფასების შედეგების ანალიზი
- სხვა მასწავლებლების კომენტარები ვიდეოჩანაწერებზე
- კითხვარების შევსებისას და ექსპერიმენტის შედეგად მიღებულ მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი

კვლევის თეორიული მნიშვნელობა

დისერტაციაში გაანალიზებულია საუბრის უნარ-ჩვევების ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესი, სიძნელეების ფაქტორი საუბარში, საუბრის უნარ-ჩვევების შეფასება, რეფლექსიური სწავლება, გაკვეთილის ვიდეოჩანაწერები როგორც რეფლექსიური პრაქტიკის ერთ-ერთი საშუალება. ავტორი გვთავაზობს თავის მოსაზრებას ამ თეორიულ საკითხებზე, ავითარებს არსებულ მოსაზრებებს დასმული შეკითხვის გარშემო.

თვითრეფლექსია აღწერილია როგორც ფიქრის პროცესი, სადაც პიროვნება სერიოზულად იხილავს და მიზანმიმართულად განსჯის საკუთარ ადრე მიღებულ გამოცდილებას (Kong & et al., 2009). მეორეს მხრივ, საუბრის უნარ-ჩვევების ფორმირების პროცესში თვითრეფლექსია გაკვეთილების ვიდეოჩანაწერის გამოყენებით

დამყარებულია დაკვირვებაზე როგორც სტუდენტის, ისე მასწავლებლის ქცევაზე, შეცდომებზე, სირთულეებსა და სტრატეგიებზე.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

რეკომენდაციები, რომელიც დისერტაციაშია მოცემული, დაეხმარებათ ინგლისურის როგორც უცხო ენის მასწავლებლებს არა მარტო თურქეთში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით, გააუმჯობესონ სწავლების პრაქტიკა, კერძოდ, განავითარონ სტუდენტთა ინგლისურ ენაზე საუბრის უნარ-ჩვევები. ეს დაეხმარებათ მათ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ხელი შეუწყონ სტუდენტზე ორიენტირებულ ინგლისური ენის სწავლებას. დისერტაციის მეორე თავი მოიცავს ბევრ სასარგებლო რეკომენდაციას ვიდეოჩანაწერების დახმარებით განხორციელებული თვითშეფასების შესახებ და იძლევა რჩევას, თუ როგორ მოვახდინოთ თვითგამოკითხვა. ერთ-ერთი დანართი აგრეთვე გვთავაზობს თვითგამოკითხვისა და სხვა მასწავლებლის კომენტარების სასარგებლო ნიმუშებს. როგორც მეორე თავი, ისე ექსპერიმენტის შედეგების ანალიზი გადმოგვცემს ვიდეოჩანაწერების ნახვის პროცესში გაკეთებულ კომენტარებს სტუდენტთა საუბრის უნარ-ჩვევებისა და მასწავლებლის მიერ გამოყენებული მეთოდების შესახებ.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნებისა და რამოდენიმე დანართისგან. პირველ თავში საუბრის სწავლების შესახებ არსებული ლიტერატურის განხილვა, მასწავლებლის ქცევისა და შეფასებისთვის რეფლექსიური სწავლების ვიდეო ჩაწერაა განხილული. მეორე თავში გაანალიზებულია საუბრის უნარ-ჩვევების სწავლების მეთოდები, რომლებიც შეფასებულია ვიდეო ჩანაწერების დახმარებით, და აგრეთვე თვითშეფასების მეთოდიკა ვიდეო ჩანაწერების დახმარებით. მესამე თავი აღწერს კვლევას, რომელიც ჩატარდა ორ ჯგუფში: საექსპერიმენტო და საკონტროლოში, შესაბამისად ვიდეო ჩანაწერთა და თვითრეფლექსიის

გამოყენებით და მათ გარეშე. დისერტაცია მოიცავს 50 ცხრილს, 12 სქემას, 10 გრაფიკსა და 12 დანართს.

მოკლე შინაარსი

პირველი თავი - საუბარი, შემსწავლელის ავტონომია და რეფლექსიური სწავლება - ლიტერატურის ანალიზი

პირველ თავში გაანალიზებულია ენის სწავლების თეორიული ასპექტები: საუბრის უნარ-ჩვევების, რეფლექსიური სწავლებისა და ენის სწავლებისას ვიდეოჩანწერის გამოყენების განმარტებები.

ენის ბევრ შემსწავლელს უცხო ენის ცოდნის განმსაზღვრელ კრიტერიუმად ამ ენაზე საუბრის უნარი მიაჩნია. ისინი ენის სწავლების პროცესში თავიანთ პროგრესს განმსაზღვრელად ზეპირ კომუნიკაციას თვლიან.

ინგლისურის როგორც მეორე ან უცხო ენის შესწავლისას ენის შემსწავლელებისთვის სასაუბრო უნარებში დახელოვნება პრიორიტეტად არის ქცეული. უმეტეს წილად ენის შემსწავლელები აფასებენ თავიანთ წარმატებას, ისევე როგორც ინგლისური ენის კურსის ეფექტურობას იმაზე დაყრდნობით, თუ რამდენად გაიუმჯობესეს მათ საუბრის უნარ-ჩვევები. მიუხედავად იმისა, რომ ზეპირი უნარ-ჩვევები უარყოფილი არ ყოფილა ინგლისურის როგორც მეორე/უცხოური ენის კურსებზე ამ ბოლო ათწლეულებში (რის დასტურიცაა უამრავი სასაუბრო წიგნების არსებობა წიგნების ბაზარზე), ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევების სწავლებისადმი მიდგომა მაინც იყო მეთოდური დებატების ძირითადი საკითხი (Richards, 2008).

საუბრის უნარ-ჩვევები არის ყველაზე რთული (ყოველ შემთხვევაში, ფსიქოლოგიურად) სხვა უნარ-ჩვევებთან შედარებით, ისინი ასევე ყველაზე რთულია შეფასების კუთხით. აუდიო და ვიდეოჩანწერები გვევლინება ალტერნატიული შეფასების მეთოდებად, რომლებიც ეხმარება როგორც მასწავლებელს, რომ შეაფასოს სტუდენტის პროგრესი, ისე სტუდენტებს თვითშეფასების განხორციელებაში. ეს კვლევა ფოკუსირებულია ვიდეოგადაღების გამოყენებაზე მასწავლებლის

განვითარებისთვის. თუმცა, ჩანაწერებში სტუდენტთა პროგრესი და მისი შეფასებაც მხედველობაშია მისაღები.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში რეფლექსიური სწავლების დევიზი გავრცელებულია მასწავლებლებს, მასწავლებელთა მომზადების სპეციალისტებს, განათლების სფეროს მკვლევარებს შორის მსოფლიო მასშტაბით. რეიმანის (Reiman, 1999) აზრით, რეფლექსიური სწავლება მოიცავს პიროვნების არსის განსაზღვრას ან/და საკლასო ან სასკოლო სიტუაციას და თავის თავში მოიაზრებს პირადი გრძნობების გამოვლენასა და შემოწმებას (Minott, 2006).

რეფლექსიური სწავლების ცნება პირველად შემოთავაზებულია დიუის (Dewey, 1933) მიერ, რომელმაც ერთმანეთს შეუპირისპირება „ჩვეული ქმედება“ და „რეფლექსური ქმედება“. ეს უკანასკნელი თავის თავში მოიცავს იმის სურვილს, რომ ქმედების დროს ჩართული იყოს მუდმივი თვითშეფასება და განვითარება. არსებობს კიდევ სხვა ტერმინი, რომელიც ხშირად გამოიყენება რეფლექსიური სწავლების პროცესის აღსანიშნად, ეს არის „რეფლექსიური პრაქტიკა“. ზეიხნერი (Zeichner, 1996) და ვალი (Valli, 1997) განმარტავენ რეფლექსიურ პრაქტიკას როგორც მასწავლებლის წარმატების განუყოფელ კომპონენტს საკლასო ოთახში.

რეფლექსიური სწავლება იყენებს ვიდეოჩანაწერს როგორც რეფლექსიური პრაქტიკის შემადგენელ ნაწილს და მიღებულ ვიდეოჩანაწერებს როგორც მასწავლებლის პროფესიულად განვითარების მნიშვნელოვან იარაღს. საგანმანათლებლო მიზნებისთვის ვიდეოს გამოყენება ძალიან ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ამ ბოლო წლებში (Hung, 2009). ვიდეოჩანაწერი შესაძლოა გამოვიყენოთ გასაშუქებლად საკლასო ოთახში ისეთი ასპექტებისადმი, რომელიც მასწავლებელმა ვერც შეამჩნია გაკვეთილის ჩატარების დროს (Clarke & Hollingsworth, 2004; LeFevre, 2004).

გაკვეთილების ვიდეოჩანაწერების გამოყენების მეთოდის ძირითადი თვისება როგორც რეფლექსიური სწავლების იარაღის განხილულია დისერტაციაში. ის:

- 1) უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას

- 2) იძლევა უამრავ დროს ქცევის შესაფასებლად
- 3) დროს ზოგავს ხელმძღვანელსთვის ან კოლეგისთვის, რომელიც მასწავლებელს აკვირდება
- 4) შეიძლება ხელახლა ვუყუროთ
- 5) არის უფრო ზუსტი და ღრმა ანალიზის საფუძველი და
- 6) მოტივაციას იძლევა მასწავლებლებისთვის.

მეორე თავი. საუბრის უნარ-ჩვევების სწავლების მეთოდები ვიდეოჩანაწერების თანხლებით

მეორე თავში გამახვილებულია კვლევის ჰიპოთეზა და ახსნილია, თუ როგორ უნდა მივმართოთ ვიდეოს ჩაწერას აუდიტორიაში იმისათვის, რომ ის გამოყენებულ იქნას თვითშეფასებისთვის. ვიდეოს ჩაწერისა და მიღებული ჩანაწერის განხილვის ყველა ფაზა დაგეგმილია დეტალურად იმისათვის, რომ განვითარდეს წარმატებული დაკვირვების პროცესი. დაკვირვება არის მნიშვნელოვანი ელემენტი რეფლექსიური პრაქტიკისთვის. სასწავლო პროცესზე დაკვირვება ძირითადად მოიცავს შემდეგ ასპექტებზე დაკვირვებას:

- სტუდენტის ქცევა;
- სტუდენტის სწავლა;
- საკლასო ინტერაქცია;
- მასწავლებლის ქცევა;
- სწავლების მეთოდები;
- საკლასო მენეჯმენტი;
- გაკვეთილის სახეობა (მოსმენის, საუბრის, კითხვის, წერის, გრამატიკული, ლექსიკური უნარ-ჩვევების განმავითაქრებელი) და ა.შ..

შეფასების კრიტერიუმების სია და რუბრიკები მნიშვნელოვანია საუბრის პრობლემის აღმოჩენისთვის, და ამის შემდეგ, საუბრის უნარ-ჩვევების შეფასებისთვის.

შემდეგი საფეხური მასწავლებლისთვის არის ის, რომ დაგეგმოს რეფლექსიური პრაქტიკა. რეფლექსიური პრაქტიკის დაგეგმვის ეტაპი საჭიროა მასწავლებლისთვის, რადგან მან გამოარკვიოს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები ქვემოთ მოყვანილი საფეხურების გათვალისწინებით:

- 1- უყუროს ვიდეოს, რათა პრობლემების იდენტიფიცირება მოახდინოს;
- 2- იფიქროს პრობლემებზე და მოიძიოს მათი გადაწყვეტის გზები;
- 3- გაანალიზოს პრობლემების გადაჭრის ყველა შესაძლო გზა;
- 4- იფიქროს მიღებულ შედეგებზე;
- 5- გამოიყენოს საუკეთესო გადაწყვეტილება;
- 6- იფიქროს ჩანაწერზე;
- 7- დახვეწოს საუკეთესო გადაწყვეტილება;

ზემოთ ჩამოთვლილი რეფლექსიური პრაქტიკის საფეხურები შემუშავებულია მასწავლებლებისთვის. მე თვითონ გამოვიყენე ეს საფეხურები ექსპერიმენტში. ეს საფეხურები დაკვირვების რეფლექსიურ საფეხურს ქმნიან, თვით დაკვირვება კი სრულდება ვიდეოჩანაწერის გამოყენებით. მასწავლებლები იყენებდნენ შეფასების კრიტერიუმების სიას, რუბრიკებს ან კითხვარებს იმისათვის, რომ გამოავლინონ სტუდენტებისა და საკუთარი სუსტი მხარეები. მასწავლებლები უსვამენ საკუთარ თავს შეკითხვებს, რომლებიც უბიძგებენ მათ, დაფიქრდნენ არსებულ პრობლემებზე. ასეთი შეკითხვები არის რეფლექსიური აზროვნების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამის შემდეგ, მასწავლებლები განსაზღვრავენ იმ ზომებს, რომელსაც უნდა მიმართონ სწავლების გაუმჯობესების მიზნით. შემდეგ, ისინი ამოწმებენ შემდგომ ჩანაწერებს, რათა ნახონ, თუ მიაღწიეს რომელიმე დასახულ მიზანს.

დასკვნითი ანალიზისა და შეფასების დროს კარგი იქნება, თუ გამომჟღავნდება პროგრესი ქცევაში. თუმცა არ არის აუცილებელი, რომ ეს პროგრესი იყოს სრული ცვლილება. თუ რეფლექსიური სწავლების შედეგად მივიღებთ რაღაც დონეზე დადებითი ცვლილებებს, მაშინ რეფლექსია, რომელსაც თან ახლავს ვიდეოჩანაწერების გამოყენება, ეფექტურად შეიძლება ჩავთვალოთ.

ვიდეოზე ჩაწერილი რეფლექსია მიზნად ისახავს:

1) გაუმჯობესდეს მასწავლებლის:

ა) დამოკიდებულება საუბრის უნარ-ჩვევებისადმი და სასაუბრო აქტივობების მიმართ;

ბ) სწავლების მეთოდები;

გ) სტუდენტებს შორის ინტერაქცია სასაუბრო აქტივობებში.

2) სტუდენტთა პრობლემების და მოთხოვნილებების გარკვევას, სტუდენტთა დამოკიდებულების შეცვლას საუბრის მიმართ;

3) მასწავლებლის პროგრესის (ან მისი არარსებობის) დანახვას საუბრის სწავლებისას.

მესამე თავი. ვიდეოჩანაწერების გამოყენებით მასწავლებლის რეფლექსიის გავლენის გამოკვლევა ინგლისურ ენაზე საუბრის სწავლების ხარისხზე და საუბრის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე

მესამე თავი ეხება კვლევის მეთოდიკას, მის დიზაინს, მონაცემთა მოგროვებას და ანალიზს.

კვლევა წარმოადგენს **მოქმედების კვლევას**, კერძოდ ჩემს როგორც ენის მასწავლებლისა საკუთარ ინტერაქციას სტუდენტებთან და კოლეგებთან იმისათვის, რომ პირდაპირ გამერკვია და გამომეცადა შედეგები საკუთარ თავზე.

როგორც მკვლევარს, მსურდა მენახა, თუ ჩემი საგანმანათლებლო აზრები როგორ გააუმჯობესებდა ჩემს საკუთარ სწავლების უნარ-ჩვევებსა და მეთოდებს და დავრწმუნებულიყავი, რამდენად გამოადგებოდათ ისინი მომავალ კვლევებში მასწავლებლებს. მეორეს მხრივ, მხედველობაში მისაღებია მოქმედების კვლევის

გარკვეული სუბიექტურობა. იმისათვის, რომ მინიმუმამდე შემემცირებინა ჩემი კომენტარების სუბიექტურობა, კონსულტაციები გავიარე კოლეგებთან და მოვაგროვე მათი კომენტარები და იდეები ჩემი ჩანაწერების შესახებ. ჩემი კითხვარები, რომელიც გამოვიყენე სტუდენტებთან და მასწავლებლებთან, ისევე როგორც სტუდენტთა ზეპირი გამოცდის გარკვეულწილად შეფასება გააბათილებს მოქმედების კვლევის სუბიექტურობას.

აღნიშნულ კვლევაში მე გამოვიყენე როგორც **თვისობრივი**, ისე **რაოდენობითი** კვლევა, რომელიც საჭიროა სტატისტიკური მონაცემებისა და დაკვირვების შედეგების ინტერპრეტაციისათვის. კვლევა არის აგრეთვე **განმარტებითი** ხასიათის, რადგან განმარტავს შესწავლილ მოვლენას და დამოკიდებულია დაკვირვების ანალიზზე.

გამოვიყენეთ **დაკვირვების მეთოდი** და **ექსპერიმენტული კვლევის** დიზაინი, რათა შეგვესწავლა ვიდეოჩანაწერების გავლენა მასწავლებლის რეფლექსიურ პრაქტიკაზე და გამოგვევლენა მისი ზემოქმედება სტუდენტთა საუბრის უნარ-ჩვევებზე. ვეცადე ჩემი როგორც მასწავლებლის ქცევა დაკვირვებადი ყოფილიყო ვიდეოჩანაწერებში.

ექსპერიმენტში **დამოუკიდებელი ცვლადი** იყო ვიდეოჩანაწერების გამოყენება რეფლექსიური სწავლების მიზნით, ხოლო სტუდენტთა საუბრის უნარ-ჩვევების დონე კი **დამოკიდებული ცვლადი** იყო.

ექსპერიმენტი განხორციელდა ოთხ ჯგუფში: ორ საკონტროლო და ორ ექსპერიმენტულში (სულ 66 სტუდენტი). ექსპერიმენტში უშუალოდ მონაწილეობდა სამი მასწავლებელი და კიდევ ხუთი მასწავლებელი დამკვირვებლის როლში. იგი ჩატარდა ჯანიკ ბაშარის უნივერსიტეტის (თურქეთი) მოსამზადებელ განყოფილებაში 16 კვირის განმავლობაში 2012/2013 სასწავლო წელს.

ექსპერიმენტი ორ ფაზად განხორციელდა:

- პირველი - ინლისური ენის ცოდნის საშუალოს-წინა დონის სტუდენტებთან (8 კვირა)
- მეორე - ინგლისური ენის ცოდნის საშუალოს-ზედა დონის სტუდენტებთან (8 კვირა)

კვლევის მონაცემთა შეგროვების ფაზის განმავლობაში გამოყენებულ იქნა მეთოდური ტრიანგულაცია. კვლევის მონაცემები შედგება მასწავლებლის დაკვირვების, სტუდენტთა დაკვირვების, მასწავლებლის კითხვარების, სტუდენტთა კითხვარების, სტუდენტთა ზეპირი ტესტების შედეგების სტატისტიკის და მასწავლებლების მიერ ვიდეოს შესაფერისი დაკვირვების შედეგად გაკეთებული კომენტარებისგან.

მასწავლებელთა და სტუდენტთა ანკეტირების შედეგები ძალიან დიდი მოცულობის მქონეა, ამიტომ ავტორეფერატში შეტანილია მხოლოდ ერთ-ერთ საკითხზე მიღებული პასუხების ანალიზი და გრაფიკი, რომელიც ასახავს იმ ფაქტს, რომ ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებმა ნამდვილად ისარგებლეს მასწავლებლის მიერ განხორციელებული რეფლექსიური სწავლებით გაკვეთილების ვიდეოჩანაწერების გამოყენებით.


ცხრილი 1. სტუდენტთა ანკეტირება, რომელიც ეხება ვიდეოჩანაწერების გამოყენებას: საკითხი 3: „მე ვხედავ, რომ მე არ მიჭირს კითხვებზე პასუხი“

	N	საშუალო	სტანდარტული გადახრა	T	Sig. (2-tailed)
ექსპერიმენტამდე	21	2.33	0.795	-5.656	.000
ექსპერიმენტის შემდეგ	21	3.95	0,864		

სტუდენტებს უნდა შეეფასებინათ დებულება ლიკერტის სკალის გამოყენებით (1→5), თუ რამდენად იზიარებენ ისინი მოცემულ აზრს. შედეგები გვიჩვენებს, რომ სტუდენტების აზრი დადებითისკენ შეიცვალა ამ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერიმენტამდე საშუალო ქულა იყო 2,5 (სტანდარტული გადახრით 0,79),
 ექსპერიმენტის შემდეგ კი - 3,9 (საშუალო გადახრით 0,86), $T = -8,06$ და $p = 0,00$. ეს
 შედეგები მნიშვნელოვანია და ზომავენ შედეგს, რომელიც ირიბად მიუთითებს
 საუბრის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე. შედეგი საკმაოდ შთამბეჭდავია, რადგან
 საშუალო ქულა გაიზარდა 1,62-ით.

გრაფიკი 1. ექსპერიმენტის პირველი სტადიის ზეპირი გამოცდის საშუალო შეფასება



აღნიშნული კვლევის შედეგები ასე გამოიყურება:

- ინგლისური ენის თურქი მასწავლებლები ექსპერიმენტში და ზოგადად ინგლისურის მასწავლებლები გაიუმჯობესებენ ინგლისური ენის საუბრის უნარებს, თუ თვით შეფასებას გამოიყენებენ. დრო და დრო საჭიროა

განხორციელდეს თვითშეფასება, რათა გამოსწორდეს სტუდენტთა უნარ-ჩვევების ის პრობლემები, რომლებიც მასწავლებლის გამოა წარმოქმნილი.

2. გაკვეთილების ვიდეოჩაწერა აძლევს ინგლისური ენის მასწავლებელს ეფექტურ ინსტრუმენტს, რათა კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი აქტივობა და გამოიყენოს ინდივიდუალური შეფასება, სილაბუსში სრული ან ნაწილობრივი ცვლილების შეტანით .
3. ინგლისური ენის მასწავლებლების სწავლების მეთოდებსა და დამოკიდებულებებს დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია ინგლისური ენის შეთვისებაზე სასაუბრო გაკვეთილებზე; რეფლექსია ვიდეოჩაწერების გამოყენებით ამ საქმეში საკუთარ დადებით წვლილს შეიტანს.
4. ინგლისური ენის შემსწავლელი ორმხრივად ისარგებლებენ გაკვეთილების ვიდეოჩაწერებით - ირიბად, რადგან მათი ინგლისური ენის მასწავლებლები ამ ჩანაწერების გამოყენებით სწავლების პრაქტიკას დააკვირდებიან და შეაფასებენ საკუთარ თავს.
5. თურქ სტუდენტებს ექსპერიმენტში და ზოგადად ენის შემსწავლელს შეუძლიათ გაიუმჯობესონ საუბრის უნარ-ჩვევები მასწავლებლის დახმარებით. თუმცა, სტუდენტების მხრიდან სურვილიცა და მცდელობაც აუცილებელია უკეთესი პროგრესისთვის.

მიღებული შედეგები და კვლევის მონაცემთა შეფასება ადასტურებს კვლევის ჰიპოთეზას. თუმცა, ვითვალისწინებ რა კვლევის შეზღუდვებს, მივიჩნევ, რომ საკითხი უფრო ფართო მასშტაბით ითხოვს გამოკვლევას. მიუხედავად ამისა, კვლევა უფლებას მაძლევს ვიმსჯელო იმაზე, რომ გაკვეთილების ვიდეოჩაწერა არის თვითშეფასების საშუალება ყველა იმ ინგლისური ენის მასწავლებლისთვის, რომელთაც სურთ მიაღწიონ თვით შეფასებასა და თვითგანვითარებას.

პრაქტიკული შედეგები

პირველ რიგში მასწავლებლებმა უნდა იგრძნონ რომ მათთვის საჭიროა რეფლექსიის, თვით შეფასების, თვით დაკვირვების და შეფასების იდეის არსებობა. გარდა ამისა, მათ უნდა იცოდნენ, რომ რეფლექსია არის მათთვის სავალდებულო საშუალება.

საერთოდ, თურქმა მასწავლებლებმა და ზოგადად ინგლისურის როგორც უცხო ენის მასწავლებლებმა უნდა გამოიყენონ გაკვეთილის ვიდეოს ჩაწერა არა მხოლოდ მასალის წარდგენისთვის და აქტივობებისთვის, არამედ პრაქტიკის გაუმჯობესებისთვისაც.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე სწავლება სტუდენტზე ორიენტირებული იქნება და ჩვენ, როგორც აღმზრდელები ვიქნებით თვით-კრიტიკულები, თვით დამკვირვებელი და რეფლექტიური. მე მჯერა, რომ გაკვეთილების ვიდეო ჩაწერა იქნება ძალიან პრაქტიკული თვით შეფასებისთვის და რეფლექსიისთვის. ცნობილია, რომ მასწავლებლები, ძალიან დაკავებულები არიან და ცდილობენ თავი შეიკავონ შრომატევადი აქტივობების კლასში გაკეთებისგან. სწორედ ამიტომ გაკვეთილის ვიდეო ჩანაწერის გაკეთება არის დროის დაზოგვის საშუალება თვით გამოხატვისთვის. ეს საშუალებას აძლევს მათ დაინახონ თავიანთი თავი როგორც სარკეში კრიტიკულად მცირე დროის მანძილზე მაშინ, როდესაც თავისუფალ დროს გამონახავენ. გაკვეთილის ვიდეო ჩანაწერი ამცირებს სირცხვილის გრძნობას როგორც მასწავლებლის, ისე დამკვირვებლების წინ. ის უფრო მეტად უზრუნველყოფს თვით-რწმენის ამაღლებას ვიდრე გაკვეთილის პროცესის დაკვირვება თვით გაკვეთილის მსვლელობის დროს.

პუბლიკაციები, რომლებშიც ასახულია დისერტაციის ძირითადი იდეები, შემდეგია:

- 1- Betul Ayse Sayin. (2012). Reflective Teaching: From Benefits for Second Language Classes to an Effective Teacher. *Alatoo Academic Studies*. Kirghizistan. 7 (2). p. 106-110
- 2- Betul Ayse Sayin. (2013). Using Video-recording Method in Listening and Speaking Classes. *Conference Proceedings from "The 3rd Black Sea ELT Conference"*. Samsun, Turkey. p.18-25
- 3- Betul Ayse Sayin. (2013). Promoting Teacher Self-assessment Through Video-recording (with a questionnaire study on Turkish university teachers). *IBSU Journal of Education*. Tbilisi, Georgia. 2 (1). p. 41-45